

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ (1980)

პრეამბულა

წინამდებარე კონვენციის ხელშეკრულმა სახელმწიფოები

მხედველობაში იღებენ რა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შემოღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სპეციალური სესიის რეზოლუციების საერთო მიზნებს,

იზიარებენ რა, რომ თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელი პირობების საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობისთვის,

მიიჩნევენ, რომ ერთგვაროვანი ნორმების შემოღება, რომელიც მოაწესრიგებს საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) ხელშეკრულებებს და გაითვალისწინებს სხვადასხვა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სისტემებს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლებრივი ბარიერების თავიდან აცილებას და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

გამოყენების (მოქმედების) სფერო

მუხლი 1

1. ეს კონვენცია გამოიყენება საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ იმ მხარეებს შორის, რომელთა საქმიანობის ადგილი სხვადასხვა სახელმწიფოში იმყოფება:



a) როდესაც ეს სახელმწიფოები ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან; ან

b) როდესაც საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები მითითებას აკეთებენ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართლის გამოყენებაზე.

2. ის გარემოება, რომ მხარეთა საქმიანობის ადგილები იმყოფება სხვადასხვა სახელმწიფოში, არ მიიღება მხედველობაში, თუ ეს არ გამომდინარეობს არც ხელშეკრულებიდან, არც მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობებიდან ხელშეკრულების დადებამდე, ან დადების მომენტში, ან ინფორმაციის გაცვლის მომენტში.

3. ამ კონვენციის გამოყენების სფეროს განსაზღვრისათვის მხედველობაში არ მიიღება არც მხარეთა ეროვნული კუთვნილება, არც მხარეების ან ხელშეკრულების სამოქალაქო ან სამეწარმეო (სავაჭრო) ხასიათი.

მუხლი 2

ეს კონვენცია არ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ეხება :

a) საქონლის ყიდვას, რომელიც შესყიდულია პირადი, ოჯახური ან საყოფაცხოვრებო გამოყენების მიზნისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა ნებისმიერ დროს ხელშეკრულების დადებამდე ან ხელშეკრულების დადების მომენტში არც იცოდა (და) არც ევალეობდა იმის ცოდნა, რომ საქონელი ამ მიზნით იყო ნაყიდი :

b) აუქციონზე საქონლის გაყიდვას;

c) საქონელს, რომელიც იყიდება სააღსრულებო წარმოების წესით ან კანონის ძალით განხორციელებული სხვაგვარი წესით;

d) ფასიანი ქაღალდების, აქციების, უზრუნველყოფითი ქაღალდების, ბრუნვითი დოკუმენტებისა და ფულის ნასყიდობას;

e) წყლისა და საჰაერო სატრანსპორტო ხომალდების, აგრეთვე ჰაერის ბალიშის პრინციპით მომუშავე ხომალდების ნასყიდობას;

f) ელექტროენერჯის ნასყიდობას.

მუხლი 3

1. საქონლის, რომელიც უნდა დამზადდეს ან იწარმოოს, მიწოდების ხელშეკრულება ჩაითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ იღებს ასეთი საქონლის დამზადებისათვის ან წარმოებისთვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი (არსებითი) ნაწილის მიწოდების ვალდებულებას.



2. ეს კონვენცია არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომლებშიც საქონლის მიმწოდებელი მხარის ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამუშაოთა შესრულება ან სხვა სახის მომსახურების გაწევა.

მუხლი 4

ეს კონვენცია აწესრიგებს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას და გამყიდველისა და მყიდველის იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებსაც ასეთი ხელშეკრულება წარმოშობს. კერძოდ, თუ წინამდებარე კონვენცია სხვა რამეს პირდაპირ არ განსაზღვრავს, იგი არ ეხება:

a) თვით ხელშეკრულების ან მისი რომელიმე დებულების ან ჩვეულებას ნამდვილობას;

b) ხელშეკრულებით განპირობებულ შედეგებს, რომლებიც შეიძლება აისახოს საკუთრების უფლებაზე საქონლის გაყიდვისას.

მუხლი 5

ეს კონვენცია არ ეხება გამყიდველის პასუხისმგებლობას ჯანმრთელობისათვის საქონლით მიყენებული ზიანის გამო ან რომელიმე პირის სიკვდილის გამო.

მუხლი 6

მხარეებს შეუძლიათ გამოირიცხონ წინამდებარე კონვენციის გამოყენება, ან, მე-12 მუხლის შესაბამისად, თავი აარიდონ ან შეცვალონ კონვენციის ნებისმიერი დებულების გამოყენების შედეგი.

თავი II.

ზოგადი დებულებები

მუხლი 7

1. ამ კონვენციის განმარტებისას გასათვალისწინებელია მისი საერთაშორისო ხასიათი, მის გამოყენებაში ერთგვაროვნების და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის აუცილებლობა.



2. საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან ამ კონვენციის რეგულირების საგანს და რომლებიც პირდაპირ არ არის მასში მოწესრიგებული, მოწესრიგდება ზოგადი პრინციპების შესაბამისად, რომელთაც ემყარება წინამდებარე კონვენცია, ხოლო ასეთი პრინციპების არ არსებობის შემთხვევაში - საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შესაბამისად გასოსაყენებელი სამართლით.

მუხლი 8

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის მხარის მიერ გაკეთებული განცხადებები და სხვაგვარი ქმედება განიმარტება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, რას წარმოადგენდა შესაბამისი განზრახვა.

2. თუ წინა პუნქტი არ გამოიყენება, მაშინ მხარის მიერ გაკეთებული განცხადება და სხვაგვარი ქმედება განიმარტება ისეთი გაგების (აღქმის) შესაბამისად, რომელიც ექნებოდა იმავე მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ გონივრული განსჯის უნარის მქონე (გონიერი) ადამიანს.

3. მხარის განზრახვის ან გონივრული განსჯის უნარის მქონე (გონიერი) ადამიანის გაგების (აღქმის) განსაზღვრისას, მხედველობაში მისაღებია საქმის ყველა შესაბამისი გარემოება, მათ შორის, მოლაპარაკებები, მხარეთა შორის ჩამოყალიბებული პრაქტიკა, ჩვეულებანი და მხარეთა ნებისმიერი შემდგომი მოქმედება.

მუხლი 9

1. მხარეები შეზღუდულები (შეზოჭილები) არიან იმ ჩვეულებებით, რომლებზეც ისინი შეთანხმდნენ და, პრაქტიკით, რომელიც მათ ჩამოაყალიბეს ერთმანეთს შორის.

2. თუ სხვანაირი შეთანხმება არ არსებობს, ითვლება, რომ მხარეები ნაგულისხმევი თანხმობით იყენებენ მათ შორის დადებული ხელშეკრულების ან მისი დადების მიმართ ჩვეულებას, რომლის შესახებ მხარეებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ და რომელიც ფართოდ არის ცნობილი საერთაშორისო ვაჭრობაში და ჩვეულებრივად გამოიყენება შესაბამის დარგში დადებული ხელშეკრულების მხარეების მიერ.

მუხლი 10

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის:

a) თუ მხარეს აქვს ერთზე მეტი საქმიანობის ადგილი, მის საქმიანობის ადგილად ითვლება ხელშეკრულების დადებამდე ან დადების მომენტში მხარეთათვის ცნობილი ან ნავარაუდევო



გარემოებების გათვალისწინებით ადგილი, რომელსაც ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს ხელშეკრულებასთან ან მის შესრულებასთან.

b) თუ მხარეს არ აქვს საქმიანობის ადგილი, მხედველობაში მიიღება მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 11

აუცილებელი არ არის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული ან დამოწმებული იყოს წერილობითი ფორმით ან ექვემდებარებოდეს სხვა მოთხოვნას ფორმასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება დაიმოწმოს ნებისმიერი საშუალებებით, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებით.

მუხლი 12

წინამდებარე კონვენციის მე-11, მე-29 მუხლების ან II ნაწილის ნებისმიერი დებულება, რომელიც უშვებს წერილობითის გარდა ნებისმიერი სხვა ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას, მის შეცვლას ან შეწყვეტას მხარეთა შეთანხმებით ან ნებისმიერი ოფერტით, აქცეპტით ან განზრახვის სხვა რაიმე გამოხატვით, არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მხარეს საქმიანობის ადგილი აქვს იმ სახელმწიფოში, რომელმაც გააკეთა დათქმა წინამდებარე კონვენციის 96-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 13

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის წერილობით ფორმაში იგულისხმება, აგრეთვე, შეტყობინება ტელეგრაფითა და ტელექსით.

ნაწილი II.

ხელშეკრულების დადება

მუხლი 1

1. განსაზღვრული პირისა ან პირთა ჯგუფის მიმართ გაკეთებული შეთავაზება ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ოფერტს, თუ ის საკმარისად განსაზღვრულია და გამოხატავს ოფერენტის განზრახვას, რომ აქცეპტის შემთხვევაში იგი მზად



არის, შეიბოჭოს თავისი შეთავაზებით. შეთავაზება ითვლება საკმარისად განსაზღვრულად, თუ მასში განსაზღვრულია საქონელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენილია რაოდენობა და ფასი ან გათვალისწინებულია მათი განსაზღვრის წესი.

2. პირთა განუსაზღვრელი წრისადმი შეთავაზება განიხილება მხოლოდ როგორც მონვევა ოფერტზე, თუ სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული იმ პირის მიერ, ვისგანაც გაკეთებულია ასეთი შეთავაზება.

მუხლი 15

1. ოფერტი ძალას იძენს, როდესაც მას მიიღებს აქცეპტანტი.

2. მაშინაც კი, როდესაც ოფერტი უკანგამოუხმობად არის განსაზღვრული, იგი შეიძლება გააუქმოს ოფერენტმა, თუ შეტყობინება გაუქმების შესახებ ოფერტის ადრესატის მიერ მიღებულია უფრო ადრე ვიდრე თვით ოფერტი, ან მიღებულია ოფერტთან ერთად.

მუხლი 16

1. ხელშეკრულების დადებამდე, ოფერტი შეიძლება უკან გამოიხმოს ოფერენტმა, თუ შეტყობინება უკუგამოხმობის შესახებ მიღებულია აქცეპტანტის მიერ მანამ, სანამ იგი აქცეპტს გაგზავნის.

2. თუმცა, ოფერტის გამოხმობა არ შეიძლება:

a) თუ ოფერტში აქცეპტისათვის განსაზღვრული დროის დადგენით ან სხვა ფორმით მითითებულია, რომ მისი გამოხმობა არ შეიძლება

ან

b) თუ აქცეპტანტის მხრიდან გონივრული იყო, ევარაუდა, რომ ოფერტის გამოხმობა არ შეიძლებოდა და მოქმედებდა ამ ვარაუდზე დაყრდნობით ოფერტის შესაბამისად.

მუხლი 17

ოფერტი, რომლის გამოხმობა არ შეიძლება, კარგავს ძალას ოფერტზე უარის თქმის შესახებ ოფერენტის მიერ შეტყობინების მიღებისთანავე.



მუხლი 18

1. აქცეპტანტის მიერ გაკეთებული განცხადება ან სხვა ქმედება, რომლითაც იგი გამოხატავს თანხმობას აქცეპტზე, არის აქცეპტი. დუმილი ან უმოქმედობა თავისთავად არ წარმოადგენს აქცეპტს.

2. აქცეპტი ძალაში შედის იმ მომენტში, როდესაც აღნიშნული თანხმობა მიღებულია ოფერენტის მიერ. აქცეპტს ძალა არ აქვს, თუ ოფერენტი არ იღებს აღნიშნულ თანხმობას მის მიერ დადგენილ ვადაში, ხოლო თუ ვადა დადგენილი არ არის - გონივრულ ვადაში, ამასთანავე, გასათვალისწინებელია გარიგების თანმდევნი გარემოებები, მათ შორის ოფერენტის მიერ კომუნიკაციის საშუალებათა გამოყენების სისწრაფე. ზეპირი ოფერტი უნდა იყოს მიღებული დაუყოვნებლივ, თუ გარემოებები სხვა რამეზე არ მიუთითებენ.

3. თუმცა, თუ ოფერტის ძალით ან იმ პრაქტიკის შედეგად, რომელიც დაადგინეს მხარეებმა თავიანთ ურთიერთობაში ან შესაბამისი ჩვეულების თანახმად, ოფერტის ადრესატს შეუძლია ოფერენტისათვის შეუტყობინებლად გამოხატოს თანხმობა რაიმე მოქმედების შესრულებით, როგორცაა საქონლის გაგზავნა ან ფასის გადახდა, მაშინ აქცეპტი ძალაში შედის ასეთი მოქმედების შესრულების მომენტში იმ პირობით, რომ იგი შესრულებულია წინა პუნქტში გათვალისწინებული ვადების ფარგლებში.

მუხლი 19

1. პასუხი ოფერტზე, რომელიც მიმართულია ოფერტის მიღებაზე, მაგრამ შეიცავს დამატებებს, შეზღუდვებს ან სხვა ცვლილებებს, არის უარი ოფერტზე და წარმოადგენს ახალ ოფერტს.

2. თუმცა, პასუხი ოფერტზე, რომელიც მიმართულია ოფერტის მიღებაზე, მაგრამ შეიცავს დამატებით ან განსაკუთრებულ პირობებს, რომლებიც არსებითად არ ცვლის ოფერტის პირობებს, წარმოადგენს აქცეპტს, თუ ოფერენტი, გაუმართლებელი შეყოვნების გარეშე, ზეპირად არ გამოთქვამს აზრს ამ განსხვავებათა წინააღმდეგ და ამის შესახებ შეტყობინებას არ გაგზავნის. თუ იგი ამას არ გააკეთებს, მაშინ ხელშეკრულების პირობები იქნება ოფერტის პირობები იმ ცვლილებებით, რომლებსაც შეიცავს აქცეპტი.

3. დამატებითი ან განსხვავებული პირობები, რომლებიც ეხება, მათ შორის, საქონლის ფასს, გადახდას, ხარისხისა და რაოდენობას, მიწოდების ადგილსა და ვადას, ერთ-ერთი მხარის პასუხისმგებლობის გაფართოებას მეორის წინაშე ან დავის გადაწყვეტას, ითვლება ოფერტის პირობების არსებით ცვლილებად.



მუხლი 20

1. ოფერენტის მიერ აქცეპტისათვის ტელეგრამის (დეპეშა) ან წერილის მეშვეობით დადგენილი ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ტელეგრამა (დეპეშა) ჩაბარებულია გასაგზავნად ან წერილში აღნიშნული თარიღიდან, ან, თუ ასეთი თარიღი მითითებული არ არის, კონვერტზე აღნიშნული თარიღიდან. ოფერენტის მიერ აქცეპტისათვის დადგენილი ვადა ტელეფონის, ტელექსის ან მომენტალური კავშირის სხვა საშუალებებით, იწყება ადრესატის (აქცეპტანტის) მიერ ოფერენტის მიღების მომენტიდან.

2. აქცეპტისათვის დადგენილი ვადაში ჩაითვლება სახელმწიფო დღესასწაულები და არასამუშაო დღეები. თუმცა, თუ აქცეპტის შესახებ შეტყობინება ვერ აღწევს ადრესატამდე დადგენილი ვადის ბოლო დღეს იმის გამო, რომ ეს დღე ოფერენტის საქმიანობის ადგილას სახელმწიფო დღესასწაულად ან არასამუშაო დღედ არის გამოცხადებული, ვადა გადაიწვეს მომდევნო პირველ სამუშაო დღემდე.

მუხლი 21

1. დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს აქცეპტის ძალას, თუ ოფერენტი აქცეპტანტს დაუყონებლივ ზეპირად აცნობებს აქცეპტის ძალის შესახებ ან აღნიშულის შესახებ გაუგზავნის მას წერილობით შეტყობინებას.

2. თუ წერილიდან ან სხვა წერილობითი შეტყობინებიდან, რომელიც დაგვიანებულ აქცეპტზე მიუთითებს, ჩანს, რომ იგი გაიგზავნა ისეთ ვითარებაში, რომ ნორმალური პირობების შემთხვევაში დროულად მიაღწევდა ადრესატამდე, დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს აქცეპტის ძალას, გარდა იმ შემთხვევისა თუ ოფერენტი დაუყონებლივ ზეპირად აცნობებს აქცეპტანტს, რომ იგი თავის ოფერენტს ძალადაკარგულად თვლის (მათ შორის აქცეპტისთვის განსაზღვრული ვადის გამო) ან გაუგზავნის მას შეტყობინებას ამის შესახებ.

მუხლი 22

აქცეპტი შეიძლება გაუქმებულ იქნეს, თუ შეტყობინება აქცეპტის გაუქმების შესახებ ოფერენტმა მიიღო იმ მომენტზე ადრე ან იმ მომენტში, როდესაც აქცეპტი ძალაში უნდა შესულიყო.

მუხლი 23

ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ოფერენტის აქცეპტი ძალაში შედის ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.



მუხლი 24

ამ კონვენციის II ნაწილის მიზნებისათვის ოფერტი, განცხადება აქცეპტის შესახებ ან განზრახვის სხვა ნებისმიერი გამოხატვა ითვლება ადრესატის მიერ მიღებულად, როდესაც მას ამას აცნობებენ ზეპირად ან ნებისმიერი საშუალებით პირადად გადასცემენ მის იურიდიულ ან საფოსტო მისამართზე ან თუ მას იურიდიული ან საფოსტო მისამართი არ გააჩნია, - მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

ნაწილი III. საქონლის ყიდვა-გაყიდვა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 25

ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია, თუ ამას მოჰყვა მეორე მხარის ისეთი ზიანი, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი მიღების იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად ჰქონდა გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და მის ადგილას ანალოგიურ პირობებში მყოფი გონიერი პიროვნება ვერ გაითვალისწინებდა ამგვარ შედეგს.

მუხლი 26

ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ იგი ხორციელდება მეორე მხარისთვის შეტყობინების გზით.

მუხლი 27

გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ კონვენციის III ნაწილი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, თუ მოთხოვნა, ცნობა, ან სხვა შეტყობინება მხარეს გადასცეს ან გაკეთებულია ამ მხარის მიერ III ნაწილის დებულებათა შესაბამისად და ვითარების შესაფერისი საშუალებებით, მაშინ ცნობის დაყოვნება ან გადაცემისას დაშვებული შეცდომა ან მისი დანიშნულებისამებრ არჩაბარება ამ მხარეს არ ართმევს უფლებას დაეყრდნოს თავის შეტყობინებას.



მუხლი 28

თუ ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან რაიმე ვალდებულების შესრულება, სასამართლო ვალდებული არ არის მიიღოს გადაწყვეტილება ვალდებულების ნატურით შესრულების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი ამას გააკეთებდა თავისი საკუთარი კანონის საფუძველზე ყიდვა-გაყიდვის ანალოგიური ხელშეკრულებების მიმართ, რომლებსაც ეს კონვენცია არ აწესრიგებს.

მუხლი 29

1. ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან მისი მოქმედება შეწყდეს მხარეთა უბრალო შეთანხმებით.

2. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს დებულებას, რომ მისი ნებისმიერი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეებმა უნდა განახორციელონ წერილობითი ფორმით, არ შეიძლება სხვაგვარად შეიცვალოს ან შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით. თუმცა ერთი მხარის ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისთვის იმის შესაძლებლობა, რომ იხელმძღვანელოს აღნიშნული დებულებით იმდენად, რამდენადაც მეორე მხარე ეყრდნობოდა და ითვალისწინებდა ასეთ მოქმედებას.

თავი II. გამყიდველის ვალდებულებები

მუხლი 30

გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიანოდოს საქონელი, გადასცეს შესაბამისი დოკუმენტები და ასევე საქონელზე საკუთრების უფლება ხელშეკრულებისა და ამ კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

პარი I. საქონლის მიწოდება და დოკუმენტების გადაცემა

მუხლი 31

თუ გამყიდველი ვალდებული არ არის საქონელი მიიტანოს სხვა რომელიმე კონკრეტულ ადგილას, მაშინ მიწოდებასთან დაკავშირებით იგი ვალდებულია:



ა) გადასცეს საქონელი პირველსავე გადამზიდველს მყიდველისათვის ჩასაბარებლად, თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას;

ბ) იმ შემთხვევებში, რომლებიც არ ექვემდებარება წინა ქვეპუნქტის მოქმედებას, ხელშეკრულება ეხება გარკვეული ინდივიდუალური თვისებების მქონე საქონელს ან არაინდივიდუალიზირებულ საქონელს, რომელიც აღებული უნდა იყოს გარკვეული მარაგიდან ან დამზადებული/წარმოებული უნდა იქნეს და მხარეებმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდნენ, რომ საქონელი ინახება ან წარმოებული/დამზადებული უნდა იქნეს გარკვეულ ადგილზე მყიდველს მის განკარგულებაში გადასცეს საქონელი ამ ადგილზე;

გ) სხვა შემთხვევებში გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მის განკარგულებაში გადასცეს საქონელი იმ ადგილზე, სადაც ხელშეკრულების დადების მომენტში იმყოფებოდა გამყიდველის საქმიანობის ადგილი.

მუხლი 32

1. თუ გამყიდველი ხელშეკრულების ან ამ კონვენციის შესაბამისად საქონელს გადასცემს გადამზიდველს და თუ საქონელი მკვეთრად იდენტიფიცირებული არ არის ხელშეკრულების მიზნებისათვის მარკირების გზით, გადაზიდვის დოკუმენტების საშუალებით ან სხვაგვარად, გამყიდველმა მყიდველს უნდა შეტყობინოს აღნიშნული საქონლის გაგზავნისა და აღწერილობის შესახებ.

2. თუ გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის გადაზიდვა, მან უნდა დადოს ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია საქონლის გადასაზიდად დანიშნულების ადგილზე ამ გარემოებისათვის შესაფერისი ტრანსპორტირების საშუალებებით და ასეთი ტრანსპორტირებისათვის ჩვეულებრივი პირობებით.

3. თუ გამყიდველი ვალდებული არ არის საქონელი დააზღვიოს მისი გადაზიდვისას, მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მას ყველა არსებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია, იმისთვის, რომ მყიდველმა თვითონ დააზღვიოს საქონელი გადაზიდვისას.

მუხლი 33

გამყიდველმა საქონელი უნდა მიაწოდოს მყიდველს:

ა) ხელშეკრულებით დადგენილ ზუსტ დროს, თუ მსგავსი თარიღი დადგენილია ხელშეკრულებით ან განსაზღვრადია ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) ხელშეკრულებით დადგენილი დროის მონაკვეთის განმავლობაში ნებისმიერ დროს, თუ მსგავსი დროის მონაკვეთი დადგენილია ხელშეკრულებით ან განსაზღვრადია ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც გარემოებები იმაზე მიუთითებენ, რომ მყიდველმა უნდა აირჩიოს ამ დროის მონაკვეთიდან კონკრეტულ თარიღი.

გ) სხვა ნებისმიერ შემთხვევაში - ხელშეკრულების დადების შემდეგ გონივრულ ვადაში.



მუხლი 34

თუ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს საქონელთან დაკავშირებით დოკუმენტები, მან ეს უნდა გააკეთოს იმ ვადაში, იმ ადგილზე და იმ ფორმით, რომელიც დადგენილია ხელშეკრულებით. თუ გამყიდველმა დოკუმენტები აღნიშნულ ვადაზე ადრე გადასცა, მას შეუძლია ამ ვადის გასვლამდე გამოასწოროს ნებისმიერი შეუსაბამობა დოკუმენტებში იმ პირობით, რომ მის მიერ ამ უფლების განხორციელება მყიდველს არ ჩააყენებს უხერხულობაში ან არ გამოიწვევს არაგონივრულ ხარჯებს. თუმცა მყიდველი ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ამ კონვენციის შესაბამისად.

პარი II.

საქონლის შესაბამისობა და მესამე პირის მოთხოვნები

მუხლი 35

1. გამყიდველმა უნდა მიანოდოს მყიდველს შესაბამისი რაოდენობის და ხარისხის საქონელი, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ საქონლის აღწერილობას და რომელიც შეფუთულია ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

2. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ სხვა რამეზე, საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას:

ა) თუ იგი გამოუსადეგარია იმ მიზნებისათვის, რომლებისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება იმავე აღწერილობის საქონელი;

ბ) თუ გამოუსადეგარია ნებისმიერი კონკრეტული მიზნისათვის, რომლის შესახებაც გამყიდველს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აცნობეს ხელშეკრულების დადების დროს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ მყიდველი არ ეყრდნობოდა ან მისთვის არაგონივრული იყო დაყრდნობოდა გამყიდველის კომპეტენტურობას;

გ) თუ საქონელს არ გააჩნია ის თვისებები, რომლებიც გამყიდველმა შესთავაზა მყიდველს ნიმუშის ან მოდელის სახით;

დ) თუ საქონელი არ არის შეფუთული ამ საქონლისათვის შესაბამისი წესით, რომელიც შეესაბამება ამ საქონლის შენახვისა და დაცვის მიზნებს.

1. გამყიდველი პასუხს არ აგებს ა-დ ქვეპუნქტების საფუძველზე საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, თუ ხელშეკრულების დადების დროს მყიდველმა იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა ასეთი შეუსაბამობის შესახებ.



მუხლი 36

1. გამყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებისა და ამ კონვენციის თანახმად საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობდა იმ მომენტში, როდესაც რისკი გადადის მყიდველზე, მაშინაც კი, თუ ეს შეუსაბამობა მხოლოდ მოგვიანებით გამოაშკარავდება.

2. გამყიდველი აგრეთვე პასუხისმგებელია საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც წარმოიშობა წინა პუნქტში მითითებული მომენტის შემდეგ და არის მის მიერ თავისი რომელიმე ვალდებულების დარღვევის შედეგი, ნებისმიერი იმ გარანტიის დარღვევის ჩათვლით, რომ ამა თუ იმ ვადის განმავლობაში საქონელი გამოსადეგი იქნება ჩვეულებრივი მიზნებისათვის ან რომელიმე კონკრეტული მიზნისათვის ან შეინარჩუნებს კონკრეტულ ხარისხსა და თვისებებს.

მუხლი 37

თუ გამყიდველი ვადაზე ადრე მიაწოდებს საქონელს, მას უფლება აქვს გათვალისწინებული ვადის დადგომამდე მიაწოდოს მყიდველს საქონლის ის ნაწილი, რომელიც დააკლდა ან შეცვალოს მიწოდებული შეუსაბამო საქონელი ან გამოასწოროს ნებისმიერი შეუსაბამობა მიწოდებულ საქონელში იმ პირობით, რომ მის მიერ ამ უფლების განხორციელება გამყიდველს არ ჩააყენებს უხერხულობაში ან არ გამოიწვევს არაგონივრულ ხარჯებს. თუმცა მყიდველი ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება ამ კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 38

1. მყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ან უზრუნველყოს მისი შემოწმება ისეთ მოკლე ვადაში, რომელიც პრაქტიკულად შესაძლებელია ასეთ პირობებში.

2. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საქონლის გადაზიდვა, დათვალიერება შეიძლება გადაიდოს საქონლის დანიშნულების ადგილზე ჩატანამდე.

3. თუ საქონლის დანიშნულების ადგილი შეიცვალა მისი გზაში ყოფნის პერიოდში ან იგი ხელმეორედ გადაიგზავნა მყიდველის მიერ, ამასთან მყიდველს არ ჰქონდა გონივრული შესაძლებლობა მისი დათვალიერებისა, ხოლო გამყიდველმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი ცვლილებების შესახებ, საქონლის დათვალიერება შეიძლება გადაიდოს დანიშნულების ახალ ადგილზე ჩატანამდე.



მუხლი 39

1. მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ შეატყობინებს საქონლის შეუსაბამობის შესახებ გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მან აღმოაჩინა ან უნდა აღმოეჩინა ეს შეუსაბამობა.

2. ნებისმიერ შემთხვევაში მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი გამყიდველს არ გადასცემს შეტყობინებას ამის შესახებ არა უგვიანეს ორი წლისა იმ თარიღიდან, როდესაც საქონელი ფაქტობრივად გადაეცა მყიდველს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს ვადა არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადას.

მუხლი 40

გამყიდველს არ აქვს უფლება გამოიყენოს 38-ე და 39-ე მუხლების დებულებები, იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი ისეთი ფაქტობრივი გარემოებების გამო, რომელიც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა და მყიდველს არ აცნობა.

მუხლი 41

გამყიდველმა უნდა მიაწოდოს მყიდველს ისეთი საქონელი, რომლზეც მესამე პირს არ აქვს არანაირი უფლება ან მოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მყიდველი თავად თანახმაა მიიღოს მსგავსი მოთხოვნით ან უფლებით დატვირთული საქონელი. თუმცა, თუ ასეთი უფლება ან მოთხოვნა უკავშირდება ინდუსტრიულ ან ინტელექტუალურ საკუთრებას, გამყიდველის ვალდებულება რეგულირდება 42-ე მუხლით.

მუხლი 42

1) გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ისეთი საქონელი, რომლზეც მესამე პირს არ აქვს ინდუსტრიულ ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული არანაირი უფლება ან მოთხოვნის უფლება, რომლის შესახებაც გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, იმ შემთხვევაში თუ, ეს უფლება ან მოთხოვნის უფლება დაკავშირებულია ინდუსტრიულ ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებასთან:

ა) იმ სახელმწიფოს სამართლის თანახმად, სადაც საქონელი უნდა გადაიყიდოს ან გამოყენებული იქნას სხვაგვარად, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებმა



გაითვალისწინეს, რომ საქონელი გადაიყიდებოდა ან სხვაგვარად იქნებოდა გამოყენებული;
ან

ბ) სხვა შემთხვევაში, იმ სახელმწიფოს სამართლის თანახმად, სადაც არის მყიდველის საქმიანობის ადგილი.

2) გამყიდველის ვალდებულება, რომელიც განსაზღვრულია წინა პუნქტში არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

ა) ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი უფლების ან მოთხოვნის უფლების შესახებ; ან

ბ) ასეთი უფლების ან მოთხოვნის უფლების წარმოშობა გამოიწვია, იმან რომ გამყიდველი დაეთანხმა და გაიზიარა ის ტექნიკური მონახაზები, დიზაინი, ფორმულები თუ სხვა მონაცემები, რომლიც მყიდველმა გადასცა.

მუხლი 43

1) მყიდველი კარგავს უფლებას გამოიყენოს 41-ე ან 42-ე მუხლები იმ შემთხვევაში, თუ ის არ აცნობებს გამყიდველს მოთხოვნისა ან მოთხოვნის უფლების დამახასიათებელ მონაცემებს გონივრულ ვადაში, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როცა მყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ უფლებისა თუ მოთხოვნის შესახებ.

2) გამყიდველს არ შეუძლია გამოიყენოს წინა პუნქტში მოცემული დებულებები, თუ მან იცოდა მესამე პირის უფლებისა ან მოთხოვნის უფლების და ასეთის არსებობის შემთხვევაში, მისი მონაცემების შესახებ.

მუხლი 44

მიუხედავად 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული დებულებებისა, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება 50-ე მუხლის შესაბამისად ან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, გარდა მიუღებელი შემოსავლისა, იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების გადაცემა ვერ მოხდა გონივრული მიზეზით.



პარი III. გამყიდვლის სამართლებრივი დაცვის საშუალებები ხელშეკრულების დარღვევის დროს

მუხლი 45

1) თუ გამყიდველი ვერ შეასრულებს მასზე ხელშეკრულებით ან ამ კონვენციით დაკისრებულ რომელიმე ვალდებულებას, მყიდველს შეუძლია:

ა) გამოიყენოს 46-52 მუხლებით მინიჭებული უფლებები;

ბ) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება 74-77 მუხლების შესაბამისად.

2) მყიდველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭებით, არ ჩამოერთმევა უფლება, გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებები.

3) დაუშვებელია, სასამართლომ ან საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამყიდველს განუსაზღვროს დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად, როდესაც მყიდველი მიმართავს ხელშეკრულების დარღვევის გამო რაიმე სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

მუხლი 46

1) მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მყიდველმა მიმართა ისეთ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც ეწინააღმდეგება ასეთ მოთხოვნას.

2) თუ საქონელი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს საქონლის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის შეუსაბამობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და საქონლის შეცვლა მოთხოვნილ იქნა შეტყობინებით 39-ე მუხლის შესაბამისად ან გონივრულ ვადაში.

3) თუ საქონელი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი, მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველის ნაკლის გამოსწორება, გარდა იმ შემთხვევისა თუ ასეთი რამ არაგონივრულია ყველა გარემოების გათვალისწინებით. ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა უნდა მოხდეს შეტყობინებით 39-ე მუხლის შესაბამისად ან გონივრულ ვადაში.

მუხლი 47

1) მყიდველს შეუძლია გამყიდველს განუსაზღვროს დამატებითი გონივრული ვადა ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.



2) თუ მყიდველმა ვერ მიიღო გამყიდველისგან შეტყობინება იმის შესახებ, რომ ვერ შეასრულებს ვალდებულებებს დათქმულ ვადაში, მყიდველს არ შეუძლია ამ დროის განმავლობაში მიმართოს ხელშეკრულების დარღვევისთვის რაიმე სამართლებრივი დაცვის საშუალებას. თუმცა, მყიდველს არ ჩამოერთმევა უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ვადის გადაცილებისთვის.

მუხლი 48

1) 49-ე მუხლის გათვალისწინებით, გამყიდველს შეუძლია, მიწოდების თარიღის შემდეგაც კი, გამოასწოროს თავისივე ხარჯებით ნებისმიერი ხარვეზი, რომლის გამოც ვერ ხდება ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულება, თუ გამყიდველს ამის განხორციელება შეუძლია არაგონივრული დაყოვნების გარეშე და ისე რომ არ გამოიწვიოს მყიდველისთვის არაგონივრული დისკომფორტი ან გაურკვევლობა მყიდველის მიერ განუული ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

2) თუ გამყიდველი მოითხოვს მყიდველისგან, აცნობოს, მიიღებს თუ არა შესრულებას და მყიდველი არ დაეთანხმება ამ მოთხოვნას გონივრულ ვადაში, გამყიდველს შეუძლია შეასრულოს ვალდებულებები იმ დროის განმავლობაში, რომელიც მოთხოვნაშია მითითებული. მყიდველს არ შეუძლია ამ პერიოდის განმავლობაში მიმართოს ისეთი სახის სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც ეწინააღმდეგება გამყიდველის მიერ ვალდებულებების შესრულებას.

3) თუ გამყიდველი შეატყობინებს მყიდველს, რომ იგი შეასრულებს ვალდებულებას გარკვეულ ვადაში, მიიჩნევა, რომ ასეთი შეტყობინება მოიცავს აგრეთვე თხოვნას, რომ მყიდველმა აცნობოს გამყიდველს თავისი გადაწყვეტილების შესახებ წინა პუნქტის შესაბამისად.

4) გამყიდველის მიერ მყიდველის მიმართ თხოვნა ან შეტყობინება ამ მუხლის მეორე ან მესამე პუნქტის შესაბამისად არ არის სამართლებრივი ძალის მქონე, თუ იგი მყიდველის მიერ არ იქნა მიღებული.

მუხლი 49

1) მყიდველს შეუძლია გაგიდეს ხელშეკრულებიდან:

ა) თუ გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ან ამ კონვენციით დაკისრებულ რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას; ან

ბ) საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაში, თუ გამყიდველი არ მიაწოდებს საქონელს იმ



დამატებითი ვადის გასვლამდე, რომელიც დაადგინა მყიდველმა 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ან როდესაც გამყიდველი განაცხადებს, რომ ვერ მიაწოდებს საქონელს ამ მუხლის შესაბამისად დათქმულ ვადაში.

2) თუმცა, იმ შემთხვევაში თუ გამყიდველმა მიაწოდა საქონელი მყიდველს, მყიდველი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დაგვიანებული მიწოდებისას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადება გონივრულ ვადაში არ იქნება გაკეთებული მას შემდეგ რაც მყიდველი შეიტყობს, რომ მიწოდება განხორციელდა ან;

ბ) ხელშეკრულების სხვა დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადება გონივრულ ვადაში არ იქნება გაკეთებული:

i) მას შემდეგ რაც მან ხელშეკრულების დარღვევის შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა;

ii) მას შემდეგ რაც მყიდველის მიერ 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დაწესებული დამატებითი ვადა გაგა ან მას შემდეგ რაც გამყიდველი განაცხადებს, რომ იგი მის ვალდებულებებს დაწესებულ დამატებით ვადებში არ შეასრულებს, ან

iii) მას შემდეგ, რაც გამყიდველის მიერ 48-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დაწესებული დამატებითი ვადა გაგა ან მას შემდეგ რაც მყიდველი განაცხადებს, რომ იგი შესრულებას არ მიიღებს.

მუხლი 50

თუ საქონელი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი, მიუხედავად იმისა გადახდილია თუ არა საფასური, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმის პროპორციულად, რა შეფარდებაც იყო მიწოდებამდე საქონლის ღირებულებასა და იმ ღირებულებას შორის, რაც აქვს საქონელს მისი მიღების დროს. თუმცა, თუ გამყიდველი 37-ე მუხლის ან 48-ე მუხლის შესაბამისად გამოასწორებს რაიმე ხარვეზს, რაც ხელს უშლის ვალდებულების ჯეროვან შესრულებას ან თუ მყიდველი უარს იტყვის შესრულების მიღებაზე აღნიშნული მუხლების შესაბამისად, მყიდველს ერთმევა შესაძლებლობა მოითხოვოს ფასის შემცირება.

მუხლი 51

1) იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი მიაწოდებს მყიდველს მხოლოდ საქონლის ნაწილს ან თუ მიწოდებული საქონლის მხოლოდ ერთი ნაწილი არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი, მოქმედებს 46-50 მუხლები საქონლის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც აკლია ან რომელიც არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი.



2) მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან მთლიანად გასვლა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის სრულად მიწოდება არ მოხდა ან თუ საქონელის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას.

მუხლი 52

1) თუ გამყიდველი მყიდველს დათქმულ ვადაზე ადრე მიაწოდებს საქონელს, მყიდველს შეუძლია მიიღოს საქონელი ან უარი თქვას მის მიღებაზე.

2) თუ გამყიდველი მყიდველს მიაწოდებს იმაზე დიდი ოდენობის საქონელს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, მყიდველს შეუძლია მიიღოს საქონელი ან უარი თქვას მის მიღებაზე გადაჭარბებული ოდენობის საფუძვლით. თუ გამყიდველი მთლიანად მიიღებს საქონელს ან ნაწილს გადაჭარბებული ოდენობიდან, მან უნდა გადაიხადოს საფასური ხელშეკრულებით შეთანხმებული ტარიფის შესაბამისად.

თავი III. მყიდველის ვალდებულებები

მუხლი 53

მყიდველმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი საქონლისათვის და მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ამ კონვენციის შესაბამისად.

კარი 1. ფასის გადახდა

მუხლი 54

მყიდველის ვალდებულება გადაიხადოს საფასური მოიცავს იმ ღონისძიებათა და ფორმალობათა დაცვას, რომლებიც შესაძლოა განსაზღვრული იყოს ხელშეკრულებით ან რაიმე კანონით და ნორმებით, რათა განხორციელდეს საფასურის გადახდა.

მუხლი 55

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, როდესაც ხელშეკრულება არის შესაბამისი წესების დაცვით დადებული, მაგრამ მასში პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის დადგენილი ფასი და არც ისეთ პირობას შეიცავს, რომელიც ფასს ადგენს, მიიჩნევა, რომ



მხარეები შეთანხმდნენ იმ ფასზე, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში ჩვეულებრივ მიიჩნეოდა ასეთი საქონლის საფასურად მსგავს საგაჭრო გარემოში.

მუხლი 56

თუ ფასი დადგენილია საქონლის წონის მიხედვით, სადაოდ გახდომის შემთხვევაში ფასი განისაზღვრება სუფთა წონით.

მუხლი 57

1) თუ არ არის განსაზღვრული განსაკუთრებული ადგილი, სადაც მყიდველმა საფასური უნდა გადაიხადოს, მაშინ მან უნდა გადაუხადოს გამყიდველს:

ა) გამყიდველის საქმიანობის ადგილზე; ან

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გადახდა უნდა მოხდეს საქონლის ან სასაქონლო დოკუმენტების მიღების სანაცვლოდ, იმ ადგილზე, სადაც ასეთი გაცვლა უნდა მოხდეს.

2) თუ გადახდასთან დაკავშირებული ხარჯები გაიზარდა იმის გამო, რომ ხელშეკრულების დადების დროს განსაზღვრული მყიდველის ბიზნესწარმოების ადგილმდებარეობა შეიცვალა, გაზრდილი ხარჯები მყიდველმა უნდა გაწიოს.

მუხლი 58

1) თუ არ არის განსაზღვრული განსაკუთრებული დრო, როდესაც მყიდველმა საფასური უნდა გადაიხადოს, მან უნდა გადაიხადოს იგი, მას შემდეგ რაც საქონელი ან დოკუმენტები გამყიდველის მიერ გადაცემული იქნება მყიდველის განკარგულებაში ხელშეკრულებისა და ამ კონვენციის შესაბამისად. გამყიდველს შეუძლია ასეთი გადახდა საქონლის ან სასაქონლო დოკუმენტების მიღების წინაპირობად დათქვას.

2) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას, გამყიდველს შეუძლია საქონელი გადაგზავნოს იმ პირობის გათვალისწინებით, რომლიც უზრუნველყოფს საქონლის ან სასაქონლო დოკუმენტების მხოლოდ ფასის სანაცვლოდ გადაცემას.

3) მყიდველი არ არის ვალდებული გადაიხადოს საფასური, მანამ სანამ მას არ ექნება შესაძლებლობა შეამოწმოს საქონელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეების მიერ შეთანხმებული მიწოდების პროცედურების ან გადახდის სახე ეწინააღმდეგება საქონლის შემოწმების შესაძლებლობას.



მუხლი 59

მყიდველმა საფასური უნდა გადაიხადოს გამყიდველის მხრიდან ყოველგვარი მოთხოვნის ან ფორმალობის დაცვის გარეშე დათქმულ დღეს ან იმ დღეს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებით და ამ კონვენციით.

პარი II

მიწოდების მიღება

მუხლი 60

მყიდველის ვალდებულება, მიიღოს მიწოდება გულისხმობს:

- ა) ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომელიც გონივრულად მოსალოდნელია მისი მხრიდან, იმისათვის რომ გამყიდველმა შეძლოს მიწოდება; და
- ბ) საქონლის მიღებას.

პარი III

სამართლებრივი საშუალებები მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევისას

მუხლი 61

1. თუ მყიდველი არ ასრულებს თავის რომელიმე მოვალეობას ხელშეკრულების ან ამ კონვენციის თანახმად, გამყიდველს შეუძლია :

- ა) განახორციელოს თავისი უფლებები, გათვალისწინებული 62-65-ე მუხლებით;
- ბ) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, როგორც ეს გათვალისწინებულია 74-77-ე მუხლებში.

2. გამყიდველი სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალების გამოყენების გამო არ კარგავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

3. სასამართლოს ან არბიტრაჟს არ შეუძლია მყიდველისთვის დამატებითი ვადის დაწესება, თუ გამყიდველი ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით მიმართავს სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალებას.



მუხლი 62

გამყიდველს შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ფასის გადახდა, მიწოდებული საქონლის მიღება ან თავისი სხვა ვალდებულებების შესრულება, თუ გამყიდველმა არ მიმართა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც შეუთავსებელია ასეთ მოსთხოვნასთან.

მუხლი 63

1. გამყიდველს შეუძლია დაუდგინოს მყიდველს მის ვალდებულებათა შესრულებისათვის გონივრული ხანგრძლივობის დამატებითი ვადა.

2. გამყიდველს არ შეუძლია ამ ხნის განმავლობაში ხელშეკრულების დარღვევის გამო მიმართოს სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა მიიღო შეტყობინება მყიდველისაგან იმის შესახებ, რომ იგი ვერ ასრულებს ვალდებულებას ამ წესით დადგენილ ვადაში. თუმცა გამყიდველი ამით არ კარგავს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ვადის გადაცილების გამო.

მუხლი 64

1. გამყიდველს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან:

a) თუ ხელშეკრულებით ან ამ კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებლობა მყიდველის მიერ ხელშეკრულების არსებით დარღვევას წარმოადგენს; ან

b) თუ მყიდველი 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად გამყიდველის მიერ დადგენილ დამატებით ვადაში არ ასრულებს თავის ვალდებულებას გადაიხადოს ფასი ან მიიღოს მიწოდებული საქონელი, ანდა აცხადებს, რომ ვერ გააკეთებს ამას ამ წესით დადგენილ ვადაში.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც მყიდველმა გადაიხადა ფასი, გამყიდველი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, როდესაც:

a) მყიდველის მიერ შესრულების ვადის გადაცილებისას გამყიდველი არ გავა ხელშეკრულებიდან მანამ, სანამ შეიტყობს, რომ ვალდებულება შესრულდა; ან

b) მყიდველის მიერ ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დარღვევისას, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გარდა, გამყიდველი არ გავა ხელშეკრულებიდან გონივრული ვადის განმავლობაში:

i) მას შემდეგ, რაც მან შეიტყო ან უნდა შეეტყო ასეთი დარღვევის შესახებ; ან



ii) 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გამყიდველის მიერ დადგენილი დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც მყიდველი განაცხადებს, რომ ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს ასეთ დამატებით ვადაში.

მუხლი 65

1. თუ ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველმა უნდა განსაზღვროს საქონლის დამახასიათებელი ფორმა, ზომა ან სხვა მონაცემები და, თუ იგი არ შეადგენს ასეთ სპეციფიკაციას შეთანხმებულ ვალებში, ან გონივრულ ვადაში გამყიდველისაგან მიმართვის მიღების შემდეგ, გამყიდველს შეუძლია, მისთვის მინიჭებული სხვა ნებისმიერი უფლებების შელახვის გარეშე, თვითონ შეადგინოს ეს სპეციფიკაცია მყიდველის იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც შეიძლება ცნობილი იყოს გამყიდველისათვის.

2. თუ გამყიდველი თვითონ ადგენს სპეციფიკაციას, მან დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მყიდველს მისი შინაარსის შესახებ და დაადგინოს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მყიდველი შეძლებს, შეადგინოს სხვა სპეციფიკაცია. თუ გამყიდველისაგან მიღებული ცნობის შემდეგ მყიდველი არ გააკეთებს ამას ასეთი წესით დადგენილ ვადაში, გამყიდველის მიერ შედგენილი სპეციფიკაცია სავალდებულო იქნება.

თავი IV.

რისკის გადასვლა

მუხლი 66

საქონლის დაკარგვა ან დაზიანება მას შემდეგ, რაც რისკი მყიდველზე გადავიდა, არ ათავისუფლებს მას ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაკარგვა ან დაზიანება გამოიწვია გამყიდველის მოქმედებამ ან უმოქმედობამ.

მუხლი 67

1. თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას და გამყიდველი ვალდებული არ არის, გადასცეს იგი რომელიმე კონკრეტულ ადგილას, რისკი გადადის მყიდველზე, როდესაც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად საქონელი ჩაბარდება პირველ გადამზიდველს მყიდველისათვის გადასაცემად. თუ გამყიდველი ვალდებულია, საქონელი ჩააბაროს გადამზიდველს რომელიმე კონკრეტულ ადგილას, რისკი არ გადადის მყიდველზე, სანამ საქონელი ამ ადგილზე არ ჩაბარდება გადამზიდველს.



ის გარემოება, რომ გამყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს საქონლის გადაცემის განმკარგულებელი დოკუმენტები, არ მოქმედებს რისკის გადასვლაზე.

2. მიუხედავად ამისა, რისკი არ გადადის მყიდველზე, სანამ საქონელი გარკვევით არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული ხელშეკრულების მიზნებისათვის სპეციალური მონიშვნის გზით, გადაზიდვის დოკუმენტების საშუალებით, მყიდველისთვის შეტყობინების გაგზავნით ან სხვაგვარად.

მუხლი 68

რისკი იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც გზაში ყოფნის დროს გაიყიდა, მყიდველზე გადადის ხელშეკრულების დადების მომენტიდან. თუმცა, თუ გარემოებები ამაზე მიუთითებს, მყიდველი თავის თავზე იღებს რისკს იმ მომენტიდან, როდესაც საქონელი გადაამზიდველს ჩაბარდა და გადაამზიდველმა გასცა გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუმცა, თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტში გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ საქონელი დაკარგულია ან დაზიანებულია, და არ აცნობა ეს მყიდველს, ასეთი დაკარგვა ან დაზიანება გამყიდველის რისკს განეკუთვნება.

მუხლი 69

1. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ ექვემდებარება 67-ე და 68-ე მუხლებს, რისკი გადადის მყიდველზე, როდესაც იგი მიიღებს საქონელს ან, თუ არ აკეთებს ამას სათანადო ვადაში, იმ მომენტიდან, როდესაც საქონელი მის განკარგულებაში გადაიცა და იგი არღვევს ხელშეკრულებას იმით, რომ არ იღებს მიწოდებულ საქონელს.

2. მაგრამ, თუ მყიდველი ვალდებულია, მიიღოს საქონელი არა იმ ადგილას, სადაც არის გამყიდველის საქმიანობის ადგილი, არამედ რომელიმე სხვა ადგილას, რისკი გადადის მასზე მაშინ, როდესაც დგება მიწოდების ვადა და მყიდველმა იცის, რომ საქონელი მის განკარგულებაშია ამ ადგილას.

3. თუ ხელშეკრულება ეხება ჯერ კიდევ არაიდენტიფიცირებულ საქონელს, მიჩნეულია, რომ საქონელი არ არის მყიდველის განკარგულებაში, სანამ იგი გარკვევით იდენტიფიცირებული არ იქნება კონკრეტული ხელშეკრულების მიზნებისათვის.

მუხლი 70

თუ გამყიდველმა ხელშეკრულება არსებითად დარღვია, 67-ე, 68-ე და 69-ე მუხლების დებულებები გავლენას არ ახდენს მყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ასეთ დარღვევასთან დაკავშირებით.



თავი V.

გამყიდველისა და მყიდველისათვის საერთო დებულებები მათი ვალდებულებების შესახებ

პარი I.

ხელშეკრულების მოსალოდნელი დარღვევები და ხელშეკრულებები საქონლის ცალკეულ პარტიათა მიწოდების შესახებ

მუხლი 71

1. მხარეს შეუძლია შეაჩეროს თავის ვალდებულებათა შესრულება, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მოსალოდნელია მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილის შეუსრულებლობა:

a) ვალდებულების შესრულების უნარის ან მისი გადახდისუნარიანობის მნიშვნელოვანი არასაკმარისობის გამო ან

b) მისი ხელშეკრულების შესრულებისათვის მოსამზადებლად ან შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებებიდან გამომდინარე.

2. თუ გამყიდველმა უკვე გაგზავნა საქონელი მანამ, სანამ გამომყდავნდებოდა წინა პუნქტში აღნიშნული საფუძვლები, მას შეუძლია შეაჩეროს მყიდველისათვის საქონლის გადაცემა მაშინაც კი, როდესაც მყიდველს ხელთ აქვს დოკუმენტები, რომლებიც უფლებას აძლევს, მიიღოს საქონელი. ეს პუნქტი ეხება მხოლოდ მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებას საქონელზე.

3. მხარემ, რომელიც აჩერებს შესრულებას საქონლის გაგზავნამდე თუ მის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს მეორე მხარეს და უნდა განაგრძოს ვალდებულებათა შესრულება, თუ მეორე მხარე წარუდგენს საკმაო გარანტიებს, რომ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

მუხლი 72

1. თუ ხელშეკრულების შესრულების დადგენილ ვადამდე ნათელი ხდება, რომ ერთ-ერთი მხარე არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებას, მეორე მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.



2. თუ დრო იძლევა ამის საშუალებას, მხარემ, რომელსაც განზრახული აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლა, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრული შეტყობინება, რათა საშუალება მისცეს მას, წარმოადგინოს თავის ვალდებულებათა შესრულების საკმარისი გარანტიები.

3. წინა პუნქტის მოთხოვნები არ გამოიყენება, თუ მეორე მხარემ განაცხადა, რომ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

მუხლი 73

1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის მიწოდებას ცალკეულ პარტიებად და ერთ-ერთი მხარის მიერ რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა ნებისმიერი პარტიის მიმართ არსებითად არღვევს ხელშეკრულებას ამ პარტიის მიმართ, მეორე მხარეს შეუძლია გამოაცხადოს ამ პარტიის მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლა.

2. თუ ერთ-ერთი მხარის მიერ რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა ნებისმიერი პარტიის მიმართ მეორე მხარეს აძლევს იმის გამართლებულ საფუძველს, რომ ხელშეკრულების არსებითი დარღვევა იქნება მომავალი პარტიების მიმართ, მას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან მომავალში მისაწოდებელი პარტიების მიმართ იმ პირობით, რომ ამას გააკეთებს გონივრულ ვადაში.

3. მყიდველს, რომელიც გადის ხელშეკრულებიდან საქონლის რომელიმე პარტიის მიმართ, შეუძლია იმავედროულად გავიდეს ხელშეკრულებიდან საქონლის უკვე მიწოდებული ან მისაწოდებელი პარტიების მიმართ, თუ მათი ურთიერთკავშირის გამო ისინი გამოუყენებელია იმ მიზნისათვის, რომელსაც ითვალისწინებდნენ მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტში.

პარი II. ზიანი

მუხლი 74

ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანი შეადგენს თანხას, რომლითაც დაზარალდა მეორე მხარე დაკარგული მოგების ჩათვლით ხელშეკრულების დარღვევის შედეგად. ასეთი ზიანი არ უნდა აღემატებოდეს ზიანს, რომელსაც ხელშეკრულების



დამრღვევი მხარე ითვალისწინებდა ან უნდა გაეთვალისწინებინა ხელშეკრულების დადების მომენტში, როგორც მისი დარღვევის შესაძლო შედეგი, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც მაშინ იცოდა ან უნდა სცოდნოდა.

მუხლი 75

თუ მხარეები გავიდნენ ხელშეკრულებიდან და თუ გასვლის შემდეგ გონივრული წესით და გონივრულ ვადაში მყიდველმა სამაგიეროდ იყიდა საქონელი ან გამყიდველმა ხელმეორედ გაყიდა საქონელი, იმ მხარეს, რომელიც ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, შეუძლია მოითხოვოს განსხვავება სახელშეკრულებო ფასსა და მის სამაგიერო გარიგების თანახმად დადგენილ ფასს შორის, აგრეთვე ნებისმიერი დამატებითი ზიანის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება აზღვევინოს მეორე მხარეს 74-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 76

1. თუ მხარეები გავიდნენ ხელშეკრულებიდან და არსებობს ამ საქონლის მიმდინარე ფასი, იმ მხარეს, რომელიც მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, შეუძლია, თუ 75-ე მუხლის საფუძველზე არ იყიდა ან ხელმეორედ არ გაყიდა საქონელი, მოითხოვოს განსხვავება ხელშეკრულებით დადგენილ ფასსა და ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტში არსებულ მიმდინარე ფასს შორის, აგრეთვე ნებისმიერი დამატებითი ზიანის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება აზღვევინოს მეორე მხარეს 74-ე მუხლის თანახმად. მაგრამ, თუ მხარე, რომელიც ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, გავიდა ხელშეკრულებიდან საქონლის მიღების შემდეგ, ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტში არსებული მიმდინარე ფასის ნაცვლად გამოიყენება ის მიმდინარე ფასი, რომელიც არსებობს ასეთი მიღების მომენტში.

2. წინა პუნქტის მიზნებისათვის მიმდინარე ფასია ის ფასი, რომელიც ჭარბობს იმ ადგილას, სადაც უნდა მიეწოდებინათ საქონელი, ან თუ ამ ადგილას არ არსებობს მიმდინარე ფასი, ფასი ისეთ სხვა ადგილას, რომელიც გასწევს გონივრულ მაგივრობას, საქონლის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯებს შორის განსხვავების გათვალისწინებით.

მუხლი 77

ხელშეკრულების დარღვევით უფლებაშელახულმა მხარემ უნდა განახორციელოს ისეთ ღონისძიებები, რომლებიც გონივრულია ასეთ გარემოებაში ხელშეკრულების დარღვევის გამო წარმოშობილი ზიანის შესამცირებლად, დაკარგული მოგების ჩათვლით. თუ იგი არ განახორციელებს ასეთ ღონისძიებებს, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ასანაზღაურებელი ზიანის შემცირება იმ თანხით, რომლითაც იგი შეიძლებოდა შემცირებულიყო.



პარი III. პროცენტები

მუხლი 78

თუ მხარე გადააცილებს ფასის ან სხვა თანხის გადახდის ვადას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს პროცენტები გადასახდელი თანხიდან, რაც არ აფერხებს 74-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების რომელიმე მოთხოვნის დაყენებას.

პარი IV.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

მუხლი 79

1. მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამონვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა და რომ არაგონივრული იყო იმის მოლოდინი, რომ მას ეს დაბრკოლება გაეთვალისწინებინა ხელშეკრულების დადების დროს ან ეს დაბრკოლება ან მისი შედეგები თავიდან აეცილებინა ან გადაეღაზა.

2. თუ მხარის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამონვეულია მესამე პირის გამო, რომელიც მან მოიწვია მთელი ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შესასრულებლად, ეს მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ:

a) იგი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან წინა პუნქტის საფუძველზე; და

b) მის მიერ მიწვეული მესამე პირი გათავისუფლებოდა პასუხისმგებლობისაგან, წინა პუნქტის დებულებები მის მიმართ რომ გამოგვეყენებინა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ეს დაბრკოლება არსებობს.

4. მხარემ, რომელიც ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს დაბრკოლების არსებობისა და ამ დაბრკოლების გავლენის შესახებ მის მიერ ხელშეკრულების შესრულების უნარზე. თუ ეს შეტყობინება მეორე მხარეს არ მიუღია გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც იგი ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა გამხდარიყო იმ მხარისათვის, რომელიც ვალდებულებას ვერ ასრულებს, ამ უკანასკნელს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც გამონვეულია შეტყობინების მიუღებლობით.



5. ამ მუხლში არაფერი არ უშლის ხელს არც ერთ მხარეს განახორციელოს სხვა ნებისმიერი უფლება, გარდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა, ამ კონვენციის საფუძველზე.

მუხლი 80

მხარეს არ შეუძლია დაიმონმოს მეორე მხარის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იმდენად, რამდენადაც ეს შეუსრულებლობა გამონგველია პირველი მხარის მოქმედებით ან უმოქმედობით.

პარი V.

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

მუხლი 81

1. ხელშეკრულებიდან გასვლა ორივე მხარეს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან და მხარეები პასუხისმგებელი რჩებიან იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც შეიძლება სახეზე იყოს. ხელშეკრულებიდან გასვლა არ მოქმედებს იმ დებულებებზე, რომელიც ეხება მხარეთა შორის დავის გადაჭრის წესებს ან ნებისმიერ სხვა დებულებას, რომლებიც არეგულირებს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც წარმოიშვება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად.

2. მხარეს, რომელმაც შეასრულა ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ, შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს რესტიტუცია ნებისმიერი რაშის, რაც პირველმა მხარემ მიანოდა ან გადაუხადა ხელშეკრულების საფუძველზე. თუ ორივე მხარეს აქვს რესტიტუციის ვალდებულება, მათ ეს ერთდროულად უნდა განახორციელონ.

მუხლი 82

1. მყიდველი კარგავს უფლებას განაცხადოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ან მოსთხოვოს გამყიდველს საქონლის შეცვლა, თუ მყიდველისთვის შეუძლებელია მიღებული საქონლის პირველნდელ მდგომარეობაში დაბრუნება გამყიდველისათვის.

2. წინა პუნქტი არ ვრცელდება:

a) თუ საქონლის რესტიტუციის ან მისი არსებითად პირველნდელ მდგომარეობაში დაბრუნების შეუძლებლობა არ არის გამონგველი მყიდველის მოქმედებით ან დაუდევრობით;



b) თუ საქონელი ან საქონლის ნაწილი უვარგისი გახდა ან გაფუჭდა 38-ე მუხლში გათვალისწინებული შემთხვევების შედეგად; ან

c) თუ საქონელი ან მისი ნაწილი გაიყიდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ან მოხმარებული იქნა ან გადაკეთდა მყიდველის მიერ მისი ჩვეულებრივი გამოყენების მიზნით მანამ, სანამ იგი აღმოაჩენდა შეუსაბამობას ან უნდა აღმოეჩინა იგი.

მუხლი 83

მყიდველი, რომელმაც დაკარგა ხელშეკრულებიდან გასვლის გამოცხადების ან გამყიდველისათვის საქონლის შეცვლის მოთხოვნის უფლება 82-ე მუხლის შესაბამისად, ინარჩუნებს უფლებას სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა საშუალებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებითა და ამ კონვენციით.

მუხლი 84

1. თუ გამყიდველი ვალდებულია დააბრუნოს საფასური, მან ასევე უნდა გადაიხადოს მასზე დარიცხული პროცენტი, იმ დღიდან, როცა საფასური იქნა გადახდილი.

2. მყიდველმა უნდა გადასცეს გამყიდველს ყველა ის სარგებელი, რომელიც მიიღო საქონლისგან ან მისი ნაწილისგან :

a) თუ იგი ვალდებულია დააბრუნოს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ; ან

b) თუ მისთვის შეუძლებელია საქონლის რესტიტუცია მთლიანად ან ნაწილობრივ ან საქონლის არსებითად პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ ის მაინც გავიდა ხელშეკრულებიდან ან მოსთხოვა გამყიდველს საქონლის შეცვლა.

პარი VI.

საქონლის შენახვა

მუხლი 85

თუ მყიდველი აგვიანებს საქონლის მიღებას, ან მაშინ როცა საფასურის გადახდა და საქონლის გადაცემა უნდა განხორციელდეს ერთდროულად და მყიდველი არ იხდის საფასურს, გამყიდველი კი ფლობს საქონელს ან სხვაგვარად შეუძლია გააკონტროლოს მათი მდებარეობა, მაშინ გამყიდველმა უნდა განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გონივრულია ასეთ ვითარებაში საქონლის შესანახად. იგი უფლებამოსილია დააკავოს საქონელი სანამ მისი გონივრული ხარჯები ანაზღაურებული იქნება მყიდველის მიერ.



მუხლი 86

1. თუ მყიდველმა მიიღო საქონელი და განზრახული აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით ან ამ კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება, რათა უარი თქვას მათზე, მან უნდა განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გონივრულია ამ ვითარებაში საქონლის შენახვის მიზნისთვის. იგი უფლებამოსილია დააკავოს საქონელი, სანამ მისი გონივრული ხარჯები ანაზღაურებული იქნება გამყიდველის მიერ.

2. თუ მყიდველისთვის გაგზავნილი საქონელი მის განკარგულებაში გადავიდა დანიშნულების ადგილას და იგი გამოიყენებს მასზე უარის თქმის უფლებას, მყიდველი უნდა დაეუფლოს საქონელს გამყიდველის ხარჯზე იმ პირობით, რომ ეს განხორციელდება ფასის გადახდისა და არაგონივრული უხერხულობის ან არაგონივრული ხარჯების გარეშე. ეს დებულება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ან მის ხარჯზე საქონლის მიღებისათვის რწმუნებული პირი იმყოფება საქონლის დანიშნულების ადგილას. თუ საქონელი ამ პუნქტის თანახმად გადადის მყიდველის მფლობელობაში, მისი უფლებანი და მოვალეობანი რეგულირდება წინა პუნქტის დებულებებით.

მუხლი 87

მხარეს, რომელიც ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები საქონლის შესანახად, შეუძლია იგი ჩააბაროს შესანახად სანყოფში მესამე პირს მეორე მხარის ხარჯზე, თუ განუელი ხარჯი არ არის არაგონივრული.

მუხლი 88

1. მხარეს, რომელიც ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები საქონლის შესანახად 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, შეუძლია გაყიდოს იგი ნებისმიერი შესაბამისი წესით, თუ სახეზეა მეორე მხარის მიერ საქონლის მფლობელობაში მიღების, მისი უკან დაბრუნების, საფასურის გადახდის ან შენახვის ხარჯების დაფარვის არაგონივრული დაყოვნება, იმ პირობის დაცვით, რომ მეორე მხარეს გაეგზავნება გონივრული შეტყობინება საქონლის გაყიდვის განზრახვის თაობაზე.

2. თუ საქონელი მალფუჭებადია ან თუ მისი შენახვა იწვევს არაგონივრულ ხარჯებს, იმ მხარემ, რომელიც ვალდებულია შეინახოს საქონელი 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, უნდა განახორციელოს გონივრული ღონისძიებები მის გასაყიდად. შესაძლებლობის ფარგლებში მან უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს თავისი განზრახვა საქონლის გაყიდვის შესახებ.



3. მხარეს, რომელიც ყიდის საქონელს, უფლება აქვს დააკავოს საქონლის შენახვასა და გაყიდვაზე განეული გონივრული ხარჯების ტოლი თანხა საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლიდან. დარჩენილი თანხა უნდა გადასცეს მეორე მხარეს.

ნაწილი IV.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 89

ამ კონვენციის დეკლარაციად ინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

მუხლი 90

ეს კონვენცია არ არის უპირატესი ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ, რომლებიც უკვე დადებულია ან შეიძლება დაიდოს და რომლებიც შეიცავს დებულებებს იმ საკითხებზე, რომლებიც დარეგულირებულია ამ კონვენციით, თუ მხარეებს საქმიანობის ადგილი აქვთ ასეთი ხელშეკრულების ხელშეკრულ ქვეყნებში.

მუხლი 91

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის დასკვნით სხდომაზე და ღია იქნება ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსათვის ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათაო ოფისში 1981 წლის 30 სექტემბრამდე.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება მის ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.

3. ეს კონვენცია ღიაა მიერთებისათვის ყველა იმ სახელმწიფოს მიერ, რომლებიც არ არიან ხელმომწერი ქვეყნები იმ თარიღის შემდეგ, რაც ის ღია გახდა ხელმოსაწერად.

4. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების, დამტკიცებისა და მიერთების შესახებ საბუთები შესაძლებელია ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.



მუხლი 92

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროს განაცხადოს, რომ იგი არ შეიზღუდება ამ კონვენციის II ან III ნაწილით.

2. ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც გააკეთებს წინა პუნქტის შესაბამის განცხადებას ამ კონვენციის II და III ნაწილებთან დაკავშირებით, არ განიხილება ხელშემკვრელ სახელმწიფოდ ამ კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თვალსაზრისით კონვენციის იმ ნაწილით რეგულირებული საკითხების მიმართ, რომელზეც ეს განცხადება ვრცელდება.

მუხლი 93

1. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეული, სადაც მისი კონსტიტუციის შესაბამისად, გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა ამ კონვენციით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ მას შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება მის ყველა ტერიტორიულ ერთეულზე ან მხოლოდ ერთზე ან რამდენიმეზე და შეუძლია შეცვალოს თავისი განცხადება ნებისმიერ დროს სხვა განცხადების გაკეთების გზით.

2. ეს განცხადება ეცნობება დეპოზიტარს და მასში ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ის ტერიტორიული ერთეულები, რომლებზედაც ვრცელდება კონვენცია.

3. თუ ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადებების ძალით ეს კონვენცია ვრცელდება ერთ ან რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულზე და არა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ყველა ტერიტორიულ ერთეულზე და თუ მხარის საქმიანობის ადგილები ამ სახელმწიფოში მდებარეობს, მაშინ ამ კონვენციის მიზნიდან გამომდინარე ითვლება, რომ ეს კომერციული სანარმოები არ მდებარეობენ ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ იგი არ მდებარეობს იმ ტერიტორიულ ერთეულში, რომელზედაც ეს კონვენცია ვრცელდება.

4. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო არ აკეთებს განცხადებას არანაირ განცხადებას ამ მუხლის პირველ პუნქტის შესაბამისად, კონვენცია ვრცელდება ამ სახელმწიფოს ყველა ტერიტორიულ ერთეულზე.

მუხლი 94

1. ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლებიც ამ კონვენციით რეგულირებულ საკითხებში ანალოგიურ ან მსგავს სამართლებრივ წესებს იყენებენ, ნებისმიერ დროს შეუძლიათ განაცხადონ, რომ კონვენცია არ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ან



მისი ფორმირების მიმართ იმ შემთხვევებში, როცა მხარეებს საქმიანობის ადგილი აქვთ ამ სახელმწიფოებში. ასეთი განცხადებაში იძლევა გაკეთდეს ერთობლივად ან სანაცვალგებო (ურთიერთშემხვედრი) ცალმხრივი განცხადებით.

2. ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ისეთივე ან მჭიდროდ დაკავშირებული სამართლებრივი წესები ამ კონვენციით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც აქვს ამ კონვენციის არა ხელშემკვრელ ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოს, ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს რომ კონვენცია არ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულებების ან მათი ფორმირების მიმართ იმ შემთხვევებში, როცა მხარეებს საქმიანობის ადგილი აქვთ ამ სახელმწიფოებში .

3. თუ სახელმწიფო, რომლის მიმართაც კეთდება განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შემდგომ გახდება ხელშემკვრელი სახელმწიფო, მაშინ გაკეთებულ განცხადებას ახალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან აქვს პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალა იმ პირობით, რომ ეს ახალი ხელშემკვრელი სახელმწიფო შეუერთდება ასეთ განცხადებას ან გააკეთებს ურთიერთცალმხრივ განცხადებას.

მუხლი 95

ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ იქნება შებოჭილი ამ კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ბ ქვეპუნქტით.

მუხლი 96

ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები დაიდოს ან დამონმდეს წერილობითი ფორმით, შეუძლია ნებისმიერ დროს მე-12 მუხლის შესაბამისად გააკეთოს განცხადება, რომ ამ კონვენციის მე-11, 29-ე ან II ნაწილის ნებისმიერი დებულება, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება, მასში ცვლილებების შეტანა ან მისი შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით ან ნებისმიერი ოფერტი, აქცეპტი ან განზრახვის ნებისმიერი გამოხატულება მოხდეს არა წერილობით, არამედ ნებისმიერი სხვა ფორმით, არ გამოიყენება, როცა რომელიმე მხარეს თავისი საქმიანობის ადგილი აქვს ამ სახელმწიფოში.



მუხლი 97

1. ხელმოწერის დროს ამ კონვენციის შესაბამისად გაკეთებული განცხადებები ექვემდებარება დადასტურებას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დროს.

2. განცხადებები ან განცხადებების დადასტურება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და ოფიციალურად ეცნობოს დეპოზიტარს.

3. განცხადებები ძალაში შედის შესაბამისი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლასთან ერთად. თუმცა, განცხადება, რომლის თაობაზეც დეპოზიტარი ოფიციალურ შეტყობინებას იღებს კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ მისი მიღების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან. 94-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული ურთიერთცალმხრივი განცხადებები ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ ბოლო განცხადების მიღებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.

4. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ კონვენციის შესაბამისად, შეუძლია უარი თქვას მასზე ნებისმიერ დროს დეპოზიტარის სახელზე წერილობითი ოფიციალური შეტყობინების მეშვეობით. ასეთი უარი ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან განვლილი ექვსი თვის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.

5. 94-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებულ განცხადებაზე უარის თქმა იწვევს აგრეთვე ამ უარის ძალაში შესვლის დღიდან ნებისმიერი ურთიერთ განცხადების მოქმედების შეწყვეტას, რომელიც გააკეთა მეორე სახელმწიფომ ამ მუხლის შესაბამისად.

მუხლი 98

დაუშვებელია ისეთი დათქმის გაკეთება, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ კონვენციით.

მუხლი 99

1. ამ მუხლის მე-6 პუნქტის დებულებათა დაცვის პირობით, ეს კონვენცია ძალაში შედის მეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, დამტკიცების ან შეერთების თაობაზე საბუთის, მათ შორის 92-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადების შემცვლელი საბუთის შესანახად ჩაბარების დღიდან განვლილი თორმეტი თვის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.



2. თუ სახელმწიფო რატიფიცირებას ახდენს, იღებს, ამტკიცებს ან უერთდება ამ კონვენციას მეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, დამტკიცების ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების შემდეგ, ეს კონვენცია, მიუღებელი ნაწილის გარდა, ამ სახელმწიფოსათვის ძალაში შედის, ამ მუხლის მე-6 პუნქტის დებულებათა დაცვის პირობით, სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, დამტკიცების ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების დღიდან განვლილი თორმეტი თვის შემდეგ პირველივე თვის პირველი დღიდან.

3. სახელმწიფო, რომელიც რატიფიცირებას ახდენს, იღებს, ამტკიცებს ან უერთდება ამ კონვენციას და რომელიც არის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა ფორმირების თაობაზე ერთგვაროვანი სამართლის შესახებ 1964 წლის 1 ივლისს ჰააგაში მიღებული კონვენციის (ჰააგის 1964 წლის კონვენცია ხელშეკრულებათა დადების შესახებ) მონაწილე, ან საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ერთგვაროვანი სამართლის შესახებ 1964 წლის 1 ივლისს ჰააგაში მიღებული კონვენციის (ჰააგის 1964 წლის კონვენცია ყიდვა-გაყიდვის შესახებ) მონაწილე, ან ამ ორივე კონვენციის მონაწილე, ერთდროულად ახდენს გარემოების მიხედვით, ერთი ან ორივე კონვენციის - ჰააგის 1964 წლის კონვენციის ნასყიდობის შესახებ და ჰააგის 1964 წლის კონვენციის ხელშეკრულებათა შესახებ - დენონსირებას, რის შესახებაც აცნობებს ნიდერლანდების მთავრობას.

4. ნასყიდობის შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც რატიფიცირებას ახდენს, იღებს, ამტკიცებს ან უერთდება ამ კონვენციას ან აკეთებს ან უკვე გააკეთა განცხადება 52-ე მუხლის შესაბამისად, რომ იგი არ შეიზღუდება ამ კონვენციის II ნაწილით, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს ახდენს ნასყიდობის შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის დენონსირებას, რის შესახებაც აცნობებს ნიდერლანდების მთავრობას.

5. ხელშეკრულებათა დადების შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც რატიფიცირებას ახდენს, იღებს, ამტკიცებს ან უერთდება ამ კონვენციას ან აკეთებს ან გააკეთა განცხადება 92-ე მუხლის შესაბამისად, რომ იგი არ შეიზღუდება ამ კონვენციის III ნაწილით, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების, ან შეერთების დროს ახდენს ხელშეკრულებათა დადების შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის დენონსირებას, რის შესახებაც აცნობებს ნიდერლანდების მთავრობას.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის ამ კონვენციის რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება ან მასთან ხელშეკრულებათა დადების შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის ან ნასყიდობის შესახებ ჰააგის 1964 წლის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შეერთება ძალაში არ შედის მანამ, სანამ ძალაში არ შევა დენონსაცია, რომელიც შეიძლება მოეთხოვროთ ამ სახელმწიფოებს ბოლო ორი კონვენციის მიმართ. ამ კონვენციის დეპოზიტარი მართავს კონსულტაციას ნიდერლანდების მთავრობასთან, რომელიც 1964 წლის კონვენციების დეპოზიტარია, რათა ამასთან დაკავშირებით უზრუნველყოს საჭირო კოორდინაცია.



მუხლი 100

1. ეს კონვენცია ვრცელდება ხელშეკრულების დადებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეთავაზება ხელშეკრულების დადების შესახებ გაკეთებულია იმ დღეს ან იმ დღის შემდეგ, რაც კონვენცია ძალაში შევიდა პირველი მუხლის პირველი ნაწილის ა ქვეპუნქტის ან პირველი მუხლის პირველი ნაწილის ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშემკვრელი ქვეყნებისათვის. 2. ეს კონვენცია ვრცელდება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია კონვენციის ძალაში შესვლის დღეს ან მას შემდეგ რაც ის ძალაში შევიდა, პირველი მუხლის პირველი ნაწილის ა ქვეპუნქტის ან პირველი მუხლის პირველი ნაწილის ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშემკვრელი ქვეყნებისათვის.

მუხლი 101

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის, ან მისი II ან III ნაწილების დენონსირება, დეპოზიტარის მისამართით ფორმალური წერილობითი შეტყობინების განხორციელებით.

2. დენონსაცია ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ პირველივე თვის პირველ დღეს. როცა შეტყობინებაში აღნიშნულია დენონსაციის ძალაში შესვლის უფრო ხანგრძლივი პერიოდი, მაშინ დენონსაცია ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ამ უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ.

შესრულებულია ვენაში ათას ცხრაას ოთხმოცი წლის თერთმეტ აპრილს ერთ ორიგინალ ეგზემპლარად, რომელთაგან არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე არსებული ტექსტები თანაბრად ავთენტიურია.

ყოველივეს დასადასტურებლად ქვემოთ ხელისმომწერმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც დროულად მიენიჭათ უფლებამოსილება შესაბამისი მთავრობების მიერ, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.



aggrieved party	დაზარალებული, უფლებაშეღაცებული მხარე	
avoidance	ხელშეკრულებიდან გასვლა	
civil or commercial character of the parties	მხარეთა სამოქალაქო ან სავაჭრო ხასიათი	
comply with the request	მოთხოვნის შესრულება/მოთხოვნისადმი დამორჩილება	
conclusion of the contract	ხელშეკრულების დადება	
Contracting States	ხელშემკვრელი სახელმწიფოები	
contracts of sale of goods	საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებები	
counter-offer	ახალი ოფერტი	
damage	ზიანი	
declaration	განცხადების გაკეთება	
declare the contract avoided	ხელშეკრულებიდან გასვლა	
delay in performance	შესრულების ვადის გადაცილება	



delay	დაყოვნება
derogate from	თავის არიდება
disclose to the buyer	აცნობო მყიდველს
extend to	გავრცელება
fix an additional period of time	დამატებითი ვადის განსაზღვრა (დანესება)
fundamental breach of contract	ხელშეკრულების არსებითი დარღვევა
goods which are free from any right or claim of a third party	საქონელი, რომელიც არ არის უფლებრივად დატვირთული ან რომელზეც მესამე პირს არ აქვს რაიმე მოთხოვნის უფლება
habitual residence	ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი
inconsistent with	რაიმესთან წინააღმდეგობრივი
pay in installment	ნაწილ–ნაწილ მიწოდება, შესრულება; განვადებით გადახდა.
instantaneous communication	მომენტარალური, მყისიერი კავშირი



invitation to make offers	მონვევა ოფერტზე
irrevocable offer	ოფერტი, რომლის გამოხმობა არ შეიძლება
lack of conformity	პირობებთან შეუსაბამობა
late delivery	დაგვიანებული მიწოდება
loss of profit	მიუღებელი შემოსავალი (განაცდური მოგება)
nationality of the parties	მხარეთა მოქალაქეობა
perform obligations	იგულისხმება ვალდებულების ჯეროვანი შესრულება
places of business	საქმიანობის ადგილი
reasonable time	გონივრული ვადა
reasonable	გონივრული
reasonable person	გონივრული პირი



reimbursement of expenses	ხარჯების ანაზღაურება
rely on the provisions	გამოიყენოს (დაეყრდნოს) დებულებები
remedy	სამართლებრივი დაცვის საშუალება (მეორადი მოთხოვნა)
repair	ნაკლის გამოსწორება
resort to a remedy	სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება
supply of labour or other services	სამუშაოთა შესრულება ან სხვა სახის მომსახურების გაწევა
to grant period of grace	დამატებითი ვადის განსაზღვრა
transaction	გარიგება
usages	ჩვეულებანი
validity	ნამდვილობა
within a reasonable time	გონივრულ ვადაში

